

ჩემი კულტურა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №45, დეკემბერი, 2018 წელი



ლვანლომისილი პედაგოგებისა და წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდობა

გვ. 2



კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე

გვ. 3



წერილი ძმენიკიანი

გვ. 4



ახლინილი „მარიამ ბაგრათიშვილი“

გვ. 9



ცვლილებები საკუთარი თავიდან იწყება...

გვ. 10



მსახიობი კახაბერ შარაბიძე იუბილარია

გვ. 11

თაობა მომისახლეობა!

ურუკი შარისა სახურავი სუპრინდიანული

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად დიმიტრი (არზაყან) გმუხვარისა და უიული შარტავას სახელობის სტიპენდიები დააწესა. სტიპენდიები მიზნად ისახავს აფხაზეთის პრობლემატიკის პოპულარიზაციას და გამიზნულია პოლიტიკის მეცნიერების დარგის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევიან და თან აფხაზეთის თემატიკაზე მუშაობენ. მათ ასევე მოეთხოვებათ მაღალი აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და საზოგადოებრივი აქტიურობა.

სტიპენდიის ოდენობა მაგისტრატურის სტუდენტისათვის შეადგენს თვეში 150 ლარს, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში 100/150 ლარს, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

ნლეულს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, უიული შარტავას სახელობის სტიპენდია მიენიჭათ: გიორგი დუნდუას – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ სტუდენტს და დავითი ესათიას – კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს. ნარმოგიდგენთ მათ მე-6 გვერდზე:

უკვე მესამე წელია, რაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად დიმიტრი (არზაყან) გმუხვარისა და უიული შარტავას სახელობის სტიპენდიები დააწესა. სტიპენდიები მიზნად ისახავს აფხაზეთის პრობლემატიკის პოპულარიზაციას და გამიზნულია პოლიტიკის მეცნიერების დარგის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევიან და თან აფხაზეთის თემატიკაზე მუშაობენ. მათ ასევე მოეთხოვებათ მაღალი აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და საზოგადოებრივი აქტიურობა. სტიპენდიის ოდენობა მაგისტრატურის სტუდენტისათვის შეადგენს თვეში 150 ლარს, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში 100/150 ლარს, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

ნლეულს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, უიული შარტავას სახელობის სტიპენდია მიენიჭათ: გიორგი დუნდუას – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ სტუდენტს და დავითი ესათიას – კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს. მათ მე-6 გვერდზე:



ცეკვანლომსილი პეტაგოგებისა და წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება

ხათუნა შონია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, ვალერი არქანას სახელობის არტ-გალერეაში აფხაზეთის საჯარო და საშუალო სკოლების ღვანლომსილი პედაგოგებისა და წარმატებული ახალგაზრდების (სტუდენტებისა და მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონიალი გამართა.

ღვანლომსილი პედაგოგებს თავდადებული საქმიანობისთვის, ხოლო წარმატებულ ახალგაზრდებს ნიჭირებისა და შრომისმოყვარეობისათვის მაღლობა გადაუხადეს, აღიარება მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაძიმ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ.

აფხაზეთის ა/რ განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მაღლობის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვნენ: ციალა რუსია, სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის №1 საშუალო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი; მანანა დოლიძე, ქ. სოხუმი, ამჟამად ქ. თბილისის №51 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკითხვა-კონკურსის შედეგად, აფხაზეთის საჯარო სკოლების საუკეთესო პედაგოგის წოდება მიენიჭა: აფხაზეთის ა/რ მე-11 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგს ირა გელანტიას, აფხაზეთის ა/რ მე-7 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგს ნინო ფარულავას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მე-5 საჯარო სკოლის გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგს თეა კუხანიძეს.



გარდა ამისა, ფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით დაწესებული ილია ვეკუასა და უიული შარტავას სახელობის სტიპენდიები გადაეცათ საქართველოს უმაღლესა სასწავლებლების წარმატებულ სტიპენდიებს. კერძოდ, ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებრსეტეტელო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს ნინო ყრუაშვილს; უიული შარტავას სახელობის სტიპენდია კი იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსონისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“

სტუდენტს გიორგი დუნდუასა და კავასის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დავით ესართიას.

დასასრულ, საქართველოს განათლების, მეცნიერებს, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „ჩემი პირველი კომპაუტერი“ ფარგლებში აფხაზეთის საჯარო და საშუალო სკოლების მე-7, მე-8, მე-9 კლასების ნარჩინებულ მოსწავლეებს ნორთიბუქები გადაეცათ.

ღვანლომსილი პადაგოგებისა და წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების დირექტორები, მასნავლებლები, მოსწავლეები და მათი მმობლები.

ტრადიციული 60-იასახალცლო შეხვედრა 30 თებერვალი სპორტსმენებთან

ლელა მიქალაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ვალერი არქანას სახელობის არტ-გალერეაში აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული სპორტსმენები და სპორტის მუშავები საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვა.

დაჯილდოებულთა შორის იყვნენ ტიტულოვანი სპორტსმენები: მიხეილ ჯიშვარაიანი, ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი; სოსო მალანია, ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი; დავით ხურცია, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი, საქართველოს დამსახურებელი მწვრთნელი; სიმონ დარაველიძე, აფხაზეთის ავტონომიური



ნი პარამიკლავჭიდში, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, 2018 წლის ევროპის ჩემპიონი; ლაშა მიქაელია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საქართველოს რეკორდსმენი ტრიკისტი; ვაჟა რეჭია, საქართველოს ნაკრების წევრი ფარიკაობაში, საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე სენიორებში მე-4 ადგილის მფლობელი; მარიამ ჭანტურია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, 2017-2018 წლების ევროპის თასის მფლობელი, ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი; ზურაბ სოხაძე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ-

განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ვიტალი ბენდელიანი. დარბაზში გამოფენილი იყო ქართველი და აფხაზი სპორტსმენებისა და სპორტის მუშავების სპორტული ცხოვრებისა და მეგობრობის ამსახველი ფოტოები. წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაძიმ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ და სხვ. შეხვედრას უდღებოდა აფხაზეთის ა/რ

განათლების სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ვიტალი ბენდელიანი.

დარბაზში გამოფენილი იყო ქართველი და აფხაზი სპორტსმენებისა და სპორტის მუშავების სპორტული ცხოვრებისა და მეგობრობის ამსახველი ფოტოები.

წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2018 წლის პროგრამის „ვეტერან სპორტსმენითა და სპორტის მუშავეთა დაჯილდოება“ ფარგლებში მოეწყო და წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტის მუშავეთა დაჯილდოების მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ და სხვ. შეხვედრას უდღებოდა აფხაზეთის ა/რ

გვანცა მამურიშვილის ფოტოები

კრებული „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ სტამბოლში წარადგინეს

ესის შორის

სტამბოლში, ნაზიმ პიქერთის სახელობის კულტურის ცენტრში, მკვლევარ ნატუ მარშანიას წიგნის „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციის მოწყობის ორგანიზორები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრი.

პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ და წიგნისა და სტამბოლში მისი წარდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა ფერმენტი უზალმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გახტანგ ყოლბააბ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის პარლამენტის პარლამენტის პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა.

საღამოს ესწრებოდნენ აფხაზე-
თის ავტონომიური რესპუბლიკის გა-
ნათლებისა და კულტურის მინისტრი
მანანა ქვაჩახია, ქართული დასპო-
რის წარმომადგენლები თურქეთში,
გერმანიასა და საფრანგეთში მცხოვ-
რებ აფხაზ დიდგვაროვანთა შთამო-
მაცნები.

„აფხაზი არისტოკრატები ემიგ-
რაციაში” დოკუმენტური ხასათის
კრებულია, რომელიც 1921 წელს
რუსეთის მიერ საქართველოს ოკუ-
პაციის შემდეგ ქვეყნიდან ევროპაში
ემიგრირებული აფხაზი არისტოკრა-
ტების ცხოვრებაზე მოგვითხრობს.
ადამიანებისა, რომლებიც ქართველ
ემიგრანტებთან ერთად ცდილობ-
დნენ საქართველო ბოლშევკიუ-
რი იკუპაციისან დაეხსნათ. წიგნი
თურქულ ენაზე თარგმნა ეკა ირემა-
ძე-მელაშვილმა (პაჯერ იზერან).



დარბაზში გამოფენილი იყო აფ-
ხაზი არისტოკრატებისა და მათი
ოჯახის წევრების ფოტოები. აქ-
ვე უჩვენეს აფხაზებთის ეროვნული
მთავრობის პირველი თავმჯდომა-
რის და საქართველოს დამფუძნებე-
ლი ქრების წევრის არზაყან (დიმიტ-
რი) ემუსხვარის ცხოვრებისა და მოლ-
ვანების ამსახველი ფილმი.

წიგნის ავტორმა ნატო მარშანიამ
მაღლობა გადაუსადა საქართველოს
პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთე-
კას და სტამბოლში ქართული კულ-
ტურის ცენტრს საინტერესო სალ-

მოს მოწყობისათვის, დამსწრე საზოგადოებას კი მოპრძანებისათვის. პრეზენტაციის ბოლოს სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „იტერიამ“ კონცერტი გამართა.

კულტურული მემკვიდრეობა კონცლიქტურ ტერიტორიებზე
სამეცნიერო კონფერენციის გამოძახილი

ქვეყნის დაცულის

„კულტურული მექანიზმება კონფლიქტზე ტერიტორიებზე“, – ასე ერქვა სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის დროუბითი აღმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა.

კულტურული მექანიდრეობისა და ფასეულობების დაცვა კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი საზოგადოებისა, თუმცა დღევანდველ შოთა ლიონში მიმდინარე რევოლუციურ კონფლიქტებს ამ მიმართულებით აუნაზღაურებელი ზიანი მოაქვს. კონფლიქტურ ტერიტორიებზე შეფერხებულია კულტურული მექანიდრეობის დასაცავად სერთაშორისო მექანიზმების მოქმედება და მათი დაცვა-გადარჩენა განსაკუთრებული საფრთხოების წინაშეა. ეს პრობლემები, სამწუხაოოდ, საქართველოს წინაშეც მწვავედ დგას, რაც ამ საკითხებზე ფართო მსჯელობის აუცილებლობის, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გამოსავლის ძიების გადაუდებელ საჭიროებას ქმნის.

ამდენად, კონფერენცია მიზნად ისახავდა ოუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი და უძრავი ძეგლების შესახებ უახლესი კვლევების წარმოჩენას და ფართო საზოგადოების თვის გაცნობას, სწორედ ამ მიზნით კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერებმა. სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების თემატიკა მრავალფროვანი იყო და აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას შეეხებოდა. ამასთანავე გამოსვლებში საუბარი იყო არამარტო ამ მემკვიდრეობის ამჟამინდელ


მდგომარეობაზე, არამედ ამ თვალსაზრისით არ სებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და შესაბამისი მქეანიზმების ამოქმედების აუცილებლობაზე, რაც ამ მიმართულებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სამეცნიერო კონფერენციაზე მომხსენება
ლებმა წარმოადგინეს შემდეგი თემები: ირაკუ-
ლი გელენავა - „კულტურული მემკვიდრეობა
ოკუპირებულ აფხაზეთში“; გიორგი ჭანიშვილი -
ლი - „სამარაბლოს არქიტექტურული ძეგლები
და მათი კლასიფიკაცია“; გარიყა დიდებულიძე
- „ძევლი გარის კელესია და აფხაზეთის ხუ-
როთმობრუების კვლევის სამითხოება“; თამარა
ხელიძე - „კერამიკული ფილები რელიეფურ-
გამოსახულებით შიდა ქართლის ოკუპირებულ
ლი სოფლებიდან (ზორქოლი, ყანჩაეთის კაბენი
ჭართა)“. მამითა აუთხნაშემთხვე - ოპერისტულ

ქურთა”; საბჭეა ცოტნიაძევილი – „ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული ხუროთმიძღვრული ძეგლების თაობაზე”; გიორგი ოთხმეტური – „შიდა ქართლის საეკლესიო და სახელმწიფო კუთხით მდგრადი საკითხი”, კახა კვაშილავა – „ავღანეთის კულტურული მემკვიდრეობა თაღლიბაზის რეაქტის პირობებში”; ზურაბ პაპალია – „კიდევ ერთხელ შეა საუკუნეების აღხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კუთხით ვნილების საკითხებისათვის”; ზაზა ცოტნიაძევილი – „ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულ

სუროთმოძღვრული ძეგლები მასმედიაში წლების განმავლობაში გავრცელებული ინფორმაციის კუთხით”; მანანა თევზაბე — „კულტურული ფასეულობების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: ჰააგის კონვენცია და საქართველოს მაგალითი”; ბეჭედ ხორავა — „სოხუმის საკათედრო ტაძრის ისტორიიდან”; ლია ახალაძე — „აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესანავლის პრობლემულური საკითხები”.

მანანა თევზაბემ, „ლურჯი ფარი საქართვე



ლოს“ თაგმეკლომარეგ დამსწრეთ გაუზიარა 1954 წელს „პაგის კონვენციით“ გათვალისწინებული უფლებების ამოქმედების მექანიზმები, კერძოდ, კონვენციის თანხმად ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული განსაკუთრებული მნიშვნელობების ძეგლებისთვის შესაძლებელა სპეციალური დაცვის სტატუსის მიზნიქიბა.

კახა კვაშილიავაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალური ისაუბრა აკადემიური კულტურულ მემკვიდრეობაზე, როგორც კარგ მაგალითზე, როგორ შეიძლება ოკუპაციისა და საომარი ვითარების დროს პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში დაიცვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

მარიკა დიდებულიძემ, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის უფროსმა მცცნერ-თანამშრომელმა საქართველოს სხვა რეგიონების და მეზობელი ქვეყნების არქეოლოგურასთან შედარების საუკველზე ხაზი გაუსვა და გამოყო ის განმასხვავებელი ოვისებები, რომელიც დამასასიათებელი იყო ადგილობრივი სამენენტლო ტრადიციისათვის. ძეგლი გაგრის ბაზილიკა მოიყვანა, როგორც ამისი საუკეთესო ნიმუში, სადაც ნათლად ჩანს საერთო ქართული ხუროთმოძღვრების გათვა.

ირკალი გელენავამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსსმა დამსწრე საზოგადეობას მიაწოდა ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ და იმ ვნებლურ ფაქტებზე, რაც მათ მიმართ განხორციელდა. აგრეთვე, ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომელსაც ამ მიმართულებით კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური ახორციელებს.

ხაზი გაუსვა აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილების სკითხებს, როგორც საერთო ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს და ისაუბრა ოკუპანტის მხრიდან ისტორიის გაყალბების კონკრეტულ მცდელობებზე.

ზაზა ცოტნისშვილმა, კავკასიის საერთა-შორისო უნივერსიტეტის პროფესორმა ისაუბრა ოქუპირებულ ტერიტორიაზე ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე მასმედიაში წლების განმავლობაში გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. კერძოდ, როგორ ახდენენ დაპირისპირებული მსარეები თანამედროვე პროდუქტების გამოყენებით (სოკილური მედია) საზოგადოებრივ გარემონტის მიზანით.

ბაში საკუთარი ინტერესის დამკვიდრებას. სო-
ციალური მედია განიხილა, როგორც ხელისუფ-
ლების მეხუთე წყარო და განსაზღვრა ის შესაძ-
ლელობები, რაც მას აქვთ.
კონფერენციას ესწრებიდნენ აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავ-
მჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კახ-
ტანგ ყოლბაია, საქართველოს განათლების, მეც-
ნიერობის, კულტურისა და სპორტის მინისტრის
მოადგილ ლევან ხარატიშვილი, აფხაზეთის ა/რ
განათლებისა და კულტურის მინისტრი განა-
ნა ქვაჩახია, სამსრეთ ისეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი ლიმიტრი სანაკოვა, საქართვე-
ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-
თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილ მამუკა ცოტნი-
აშვილი. ხოლონიბის საიროაშორისო (აგნიჩრის

ହୃଦୟ ଏଇ ଲୋକମଙ୍ଗଳରୁ ଏହାରେ ପାଇବାର ଜାଗିତା

მერვეკლასელმა დავტოვე მშობლიური ქალაქი, გაღი... რა თქმა უნდა, ახალს ვერაფერს ვიტვიცი იმით, რომ იქ გატარებული ბოლო წლების მოგონებები სამუდამო ტკივილად ამჩნევათ გულს და არ არსებობს დღე, რათაც ფორმით მანიც არ შემახსენოს თავი... ჩემი თაობის ბავშვობა ნააღმრევად დამთავრია აფ- ხაზეთის ომმა და უცრად გვაქცია დიდებად... ბავშვური სილალისა თუ უდარდელობის ნაცვლად შიში და ტკივილი გვატარებინა ...

1993 წლის სექტემბრის ბოლო დღეები იდგა. მშობლიური ქალაქი თავის თავს აღარ ჰვავდა... აფხაზე-
თის მოსახლეობა თავის კუთხეს ტოვებდა... ხალხის ნაცადი ულევ ზღვად მიედინებოდა ჩვენს თვალ-
ნი... მერე სხვებთან ერთად ჩვენმა ოჯახმაც დატოვა გალი. მე და ჩემმა ძეგიდეკლასელმა ძმამ, ალ-
ბათ, შედარებით იორლად მივიღეთ ახალი რეალობა, ახალი სკოლა, ახალი მებობრები, რადგან ჯგული
(ნალენჯიხის რაიონი) ჩვენი დედულეთია. იქ, ჩვენი ბებია- ბაბუას ოჯახში, ჩვენთან ერთად თრმოცდა-
ათამდე დევნილი ნათესავი იყო შეხიზული და შემდეგი ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. სწო-
რედ ერთად ყოფნამ შეუმსუბუქა ყველას პირველი დღეების სიმძიმე...

ბაბუას ღონიშორი ოჯახი მორალურად თუ მატერიალურად ყველა მათგანს ედგა მხარში და უმსუბუქებდა ყოველდღიურ ტკივილს, ქვეყანაში შექმნილ რეალობებასა და საკუთარ სახლ-კარის მონაცერებას რომ მოჰქონდა. ის პრიორი ჩევილების სიყვარულის, ურთიერთბარივი ცუცქების, მოთმინებისა და თანაბრძოვის საოცარი ცხოვრებისული მაგალითებით იყო სავსე. წლების შემდეგ ბაბუას ოჯახში თანდათან შეიხლდა ზიზანთა რაოდენობა, ჩევილები თბილისში გადავედით. აյ სულ სხვა რეალობის პირისპირ დარჩენილ მამაჩეჩის უფრო გაუჭირდა გამკლავება სულში ჩაბევეულ დარდა და ტკივილთან... მერე ვეღარ გაუძლო გულმა და სრულიად ჯანმრთელი მამა, როლანდ გეგეჭული 47 წლის ასაკში მოულოდნერად გამოიგეცა სამ ხელიდან, მის დაღუპვაში რომის ნილი ექიმსაც ედო, იმ საღამოს (1995 წლის 4 მაისს) რომ მორიგეობდა თბილისს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რადგან ინფარქტის სიმპტომებით მიყვანილ ავადმყოფს გულმოდგინედ ურეცხა კუჭი, მონამლული ხარ ალბათორ...

ამ დროს თხუთმეტი წლისა, თბილისის 42-ე
მათევმატიკურ სკოლაში ვსწავლობდი. დაკრძალ-
ვის დღეს შევფიცე მამას, რომ ექიმი-კარდიოლოგი
გავხდებითი... მომდევნო ნელს თბილისის სახელ-
მწიფო სამეცნიერო უნივერსიტეტის სტუდენტი
გავხდი. რას ვიტყვით ახალს 90-ის ნებულაზე... ჩემი
თაობისსოფს სხი სტუდენტის ბაზაზე დამპის შუქრები მეცა-
დინებოდასთან ასცირდება. მთელი არსებით ვიყავი
ჩართული სასწავლო პროცესში. მალე სახელმწიფო
სტანციაზე დამინიჭნებს. დრო გადიოდა, აფხაზეთში
დაპრუუბნის იმედის სხივს, სამწუხაროდ, მეტი სიმ-
ძაფრით აკლდებოდა ძალა... .

ამასობაში წარჩინებით დავამთავრე უნივერ-
სიტეტი და იმავე წელს სწავლის გასაგრძელებლად
მოსკოვში გადავდი. საოცნებო იყო ეპროპისა და
ამერიკის უნივერსიტეტები, მაგრამ ჯერჯერობით
ჩემი გზა მხოლოდ ამ მიმართულებით იკვეთებოდა.
შრომატევადი, ძალიან დატერთული, მაგრამ საინ-
ტერესო იყო ქ. მოსკოვის ი. ბაკულევის სახელობის
გულ-სისხლძღვადოვა ქიმურების ინსტიტუტი გატა-
რებული წლები... ჩემს მონიდომებასა და მუხლისაუ-
რელ შრომის ძინობი უპასუხა უფალმა, რომ უარესად
სიინტერესო, პროფესიონალი ექიმებისა და მეცნი-
ერების ხელმძღვანელობით მინერავა პროფესიული
ნისავლა, ცოდნის, გამოკიდილების მიღება. ამასთან
არც ხელშეწყობა მაკლდა, ინსტიტუტის ხელმძღვა-
ნელობამ თვითონ დამიიგნანასა სწავლა (როგორც
უცხოელისხმის ორგანიზაციაც და ასპირანტურაც
ფასანი იყო) და პირველი წლის შემდეგ ხელფასაც
მიხდიდა. ეს, ბუნებრივია, ძალიან მიშვნელოვანი
წარმატება იყო.

საბოლოოდ, ჩემთვის ეს ნლები მოიცავს ნარმა-
ტებთ გავლილ ორდინატურასა და ასპრონატურას, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მო-
საპივებლი დისერტაციის დაცვას... მიუხედავად ამ
პერიოდისათვის და, საერთოდ, რუსეთ-საქართვე-
ლოს ურთიერთობისათვის დამასახუათებელი ურთუ-
ლესი მომენტებისა, ქართველობის გამო სამსახურში
არაძიროს მიგრძვნია თავი დაწარულად (თუმცა
ქუჩში ამის ალათობა ყველა ქრისტიანთვის ა-
სლიან დიდი იყო). ცალკეული პერსონების გამოკვე-
ბით, განათლებული და ღირსეული კოლეგები ჩევნ-
თან, იქ მომუავე ქრისტევლებთან, უხერსულადაც კი
გრძენობდნენ თავს საქართველოს მიმართ თავიანთი
ქვეყნის მიერ გატარებული პოლიტიკის გამო და ერ-
თგვარად გვეპიძეშებიდნენ, კიდევ:

ერთსეულ აფხაზი პაციენტზე მყავდა. ახლაც თვალწინ მოდგას, რა სახე ჰქონდა ჩემი გვარის გა-გებისას... გამიკვირდა, მაგრამ არაფერო შევიმჩნიო. როგორც იქნა, დაწყობარდა. . . .მალე დავმეგობ-რდით კიდეც, უჩემოდ წყალს არ დალევდა, ისე ვეი-მედებოდი. ვგრძნობდი, როგორ რცხვენოდა ადრინ-დელი ემოციის. მერე მთავაზობდა კარდიოლოგიის სუკუთხსო განცყოლებას, საგანგიბოდ ჩემვის მოწყობილ სოხუმში, ერთ-ერთ კლინიკაში, იმ შემ-თხევაში, თუკი მოვისურებდი ის საცხოვრებლად და სამუშაოდ გადასვლას. შემომათავაზა, რომ იმ ზაფხულს უპრობლემოდ ჩამიყანდა გალში, მომა-ტარება მშობლიურ ადგილებს... თავაზინად კუთ-ხარი უარი, ყველა ერთად უნდა დაბრუნდეთ, თქვენ გულთბილად გვიმასპინძლოთ, ორივე მსარებ მოვი-ნაიოთ დაშვებული შეცდომები, ერთმანეთს მივუ-ტევოთ და ძელებურად ვიცხოვროთ-მეთქი.

დღემთანხმა, თუმცი თავს ვერ დავდებ, გულის სილრმეში რამდენად ყიყო გულწრფელი... გამომშვი- დობებისას გადამტევა, ხომ გვერა ჩემით, შეიღო- ვთ გირვან გულში, მითხა... ცხოვრებამ მრა- ვალებზე დამრმწენა, აფხაზეთის დაბრუნების გზა- შერიგებაზე, სიყარულასა და ნძლობაზე, საღა აზრსა და შენდობაზე რომ გადის. ქართველებმა ახალი, განვითარებული, ჩევნი აფხაზი მომშებებისათვის სა- ინტერესო ქვეყანა უნდა ავაშეოთ, განათლებული,



სამომავლოდ? ამგვარი ფიქრის პასუხად ერთი აზრი მოშენება ნაოლობის, რეალობის ნაპასუხევი აზრი... სხვა სირთულეებზე რომ არაფერი ვთქვა, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაზრდილი ქართველი ახალგაზრდობის ძალიან დიდმა, კატასტროფულად დიდმა ნაწილმა არ ცილი ქართული ენა, ე. ი. აცც ცნობიერება გამჩნა ქართული! ეს კი ტრაგედია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვოს! დაუშენეთ და, უცემ რომ მოგვეცეს აფხაზეთში დაბრუნების შესაძლებლობა, რა ენაზე ისაუბრებს იქ დაბრუნებული ახალგაზრდობა? (თუმცა ისიც საფიქრალია, დაბრუნდება საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული

მიანების ხელშეწყობა, სიყვარული, მორალური თუ ფიზიკური თანადგომა, ძნელი იქნებოდა ცხოვრების ასეთი რთული გზის წარმატებით გავლა.

ადამიანი ყოველთვის იქ გრძნობს საკუთარ-
სოდ თავს, სადაც დაბადა! არ მესმის იმათი, ვინც
აბმობს, ერთხელ მოვედრ ამ სამყაროში და, სადაც
კარგად ყოცხოვრებ, იქ მექნება სამშობლოს გან-
ცდაო. საბეჭდინეროდ, იმვიათად შემხვედრია ასე
მოფიქრალი ქართველი... ჩევნ თითქოს სხვაგარად
ვართ დაკავშირებული მშობლიურ ფესვებთან... ჩემ-
მა შეიღებმა შესანიშნავად იციან ქართული ენა, იცი-
ან, ჩევნთვის განსაკუთრებული ტერიტორიას ქალაქები
რომაა მამის მშობლიური სოხუმი და ჩემი გალი. ხში-
რად ითხოვენ მოყვებულება იქაურიბაზე... ძალიან უკ-
ვართ თბილისი, წყნეტი, ანაკლია, სადაც ატარებენ
ზაფხულს. ჯერ მხოლოდ 7-8 წლისამა არიან და არ
უნახავთ საქართველოს დანარჩენი კუთხები, მაგ-
რა ამ დაფგბა დრო, როცა ყველა ერთად მოვიყლით
იქსურობას... ვინც სამშობლოსგან შორს ცხოვრობს,
კარგად იცის, პატარების მეგბლობაც რომაა უცხოეთ-
ში ყოფნა, პასუხისმგებლობა, საკუთარი თავის, ახ-
ლობლების, სამშობლოს წინაშე...

სხირად ვისენენ ჩევნო დიდ მწერლის, კონსტანტინე გამსახურდის სიტყვებს: „მე დავიდადე პატარა მდინარის პირას, იგი საქართველოს რუკაზეც არაა აღნიშნული. ახლა კი ვდგავარ მდინარე რანთან, ევროპის გულში და ჩემს თაგა ვეუბნები – შენ, ვენ, პატარა მდინარის პირას და გავიძობონ დიდი მდინარის პირას დაბადებულო, არ გავიძობონ დიდი მდინარის პირას დაბადებულება!“ არ ვიცი, რამდენად შევძლებთ ყველაფერში გავეიბროთ დიდ ქვეყნის საუკეთესო მოქალაქეებს, მაგრამ ვცდილობ შეიღობს ვასნავლო, რომ აյ ჩევნს სამშობლოს ნარმოვადგენთ, მისი დესპანები ვართ!

ჩემი პროფესიის ნაცვლით ხმირად მიწევს ურ-
თიერთობას სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან,
აյ ხომ მთელი მსოფლიოს ნირმოდგენილი. ჩემს პა-
ციურტებთა ურთიერთობამ პროფესიული გამოც-
დილების გარდა, ცხოვრებისეული გამოცდილებისა
და სასწაულის მაგალითი მიჩვნია. აյ ავადმყოფთა
უმრავლესობა ოთხმოცდათსაა გადაცილებული და
ამთ კარგად ჩანს ადამიანის ცხოვრების ხანგრძლი-
ვონა, რამდენადაა დამრეცდებული თავისი ქვეყნის
განვითარებაზე. ულისისტეკივილობის ვფერობ ხოლმე
ჩემს სამიტობრიში ჯანმრთელობის სისტემაში არსე-
ბულ პრობლემებზე. მართლაც, „კოველი ადამი-
ანის ბევრი გადაჯეხულია თავისი ქვეყნის ბედასა!“
ვწერ ამ სტრიქონებს და ვფიქრობ ჩემი ას შევიდი
წლის პარაინტერ. რომის მოამართობას ცნობილი

ოსმალ აკცენტი იყ, მოხარუს დღგამორივათ ცხოვილი
ქართული ფილიმი „ფესვები“ გამაბასენა. შეიძი შეი-
ლისა და ძალანან დიდი ოჯახის პატრიონი, ამ ასაქშიც
ასლოლუტურად საღ გონებაზეა და დამოუკიდებლად
გადაადგილდება.

ცხოვრებაში პირველად მოხვდა კლინიკაში გუ-
ლის შეტევით. ერთი პრობლემა აქვს კიდევ, სიბე-
რეების თოხი ენის მცოდნენა სულ დაავიწყდა ცველა,
მშიბლოური რუსულის გარდა. რუსეთიდან რევოლუ-
ციის არა მარტინ და სამი მარტინ გამოისახეს.

კის დასრულებულ ხამოს ხამოსული ქმერგობაზე მცილი ყოფილა, აქ დაბადებული და გაზღდდი. უთარჯიშმნდ ვერ ელაპარაკებინა ახლობლები, ყრუსავით არც ესმის არც ერთი სხვა ენა, რუსულ ლაპარაკს კი თავისუფა- ლად იგრძე! ახლა ნარმოიდგინება მისი გაიკცა და სიხარული, რუსულის მცოდნე ექიმი რომ მცეცხდი!..

აქ იმდენ სანტერესო ადამიანსა და აბებას შე- მახვედრა ჩემმა პროფესიამ, „ექიმის წანაწერებად“ გამოვცემ ალბათ ოდესმე. ამ გადასახელიდან უფრო ემოციური და რომანტიკულია სამშობლოს მონატრე-

ასეა, — ვცოლორნ ნიუ-იორკში, მსოფლიოს უდიდეს ქალაქში და ამ სიღარაზის, ამ ცათაბჯენების ფონზე კი არ ჩაიკარგა. კიდევ უფრო შათაბბეჭდავდ და მტბზიდველად გამოიყარება ჩემი პავლი-

დაუგად და მითიღელებდ გამოყენება ჩეკი ავტომობილის აღსასვე პატარა მუშადონ სახლი, მარტომბით რომ დალიან გული „... და, მოუხედავად იმისა, რომ იქ „ზეტეულად ხენი ხმებიან, ლოდინით დაჭრენ შარ-შან იქიდიც...“

ეს თუნდაც მტკილენეული წარმოსახვა მეტი სიმ-ძაფრით მაგრძნობინებს იმ ძარღვის ფეთქვას, მშობ-ლიურ აფხაზეთთან, მამაპაპეულ სახლთან რომ მკაველირებს... სახლთან, რომლის ეზოდან იწყება ჩემთვის საქართველო, ჩემი სამშობლო... ამ მონატ-რებასა და სიყვარულს კი, დამეტანხმებით, ვერანა-ირი მეგაბოლისები და დიდებული ქვეყნები ვერ გა-დაწონის!

ნანა გეგეჭვორი,
აშშ, ნიუ იორკი,
Mount Sinai Hospital-ის
ექიმი-კარდიოლოგი



თ ა მ ბ რ ძ მ რ ი ს

გალაკტიონ ტაბიძე

გამორჩება, აუხოვდო შენ!

გამორჩება, აუხოვდო შენ!
ლურჯი ძეგლი, თერთ სინაციონი.

მოძრავი შეგ სინაციის ძეგლი.

მოძრავი ბედა, ნიმუში შენი.

მოძევებები შენ იყო პილი.

სიღ თვესა შეძენების ფორმა

გადახერხი ჩემი და ლექს ჩემი.

მოძევებები შეძლებული გვია.

მოძევებები შეძლებული მანი.

შენ ძელი მეგობრი მაკან.



პალიტოლოგია პროფესიონალიზმი

„ლურჯ ძალაში იოც თაგმურთურაშ იქცა პატარისტიში. პატარისტიში განვითარდა თაგმურთური უამრავი აბსოლუტურაშ უძრავის აღმატებისას და ის სის ფონით გერმანურთურაშ იქიდა, რომ ჰქოთხო, ფინანსი, გუბენტა, პატარისტი. პატარისტი ბა პროფესია არ არის, პროფესიონალიზაციისა და პატარისტის სამართლის მომართები...“

რეზო თაბუკაშვილი

შალვა ბერიანიძე

მახსოვრი, ამ რამდენიმე წლის წინათ მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, რუსთაველ-ზე საპროფესო აქცია მოგვეწყო და ჩვენი ყელშიმიმშრალი ხმისათვის მეტი გამბე-დაობა და სიმტკიცე შეგვემატებინა.

აქციის მოწყობის მიზეზი ის იყო, რომ ძალიან განვიცადეთ ჩვენი თანატოლების ერთი ნანილის მიერ არაერთხელ ნათქვამი ფრაზა: აფხაზეთი საქარ-თველო არ არისო.



რუსთაველის გამზირი ჩვეულებრივად ჩა-ვიარეთ. პარლამენტთან რამდენიმე ადამია-ნი მიდი-მოდიოდა. 9 აპრილის მემორიალთან 13-15 წლის მოზარდი ფოტოს გა-დასალებად ემზადებოდა, მი-სი სახის გამომეტყველება ავლენდა, რომ სურათს თითქოს რომელიმე რი-გით კულტურულ მო-ნუმენტთან იღებდა, თან მის წინ ფოტო-აპარატით მდგარი შეუახნის მამაკაცი ღიმილმიღეული სახით ეუქნებოდა - გაიღიმდო. ნეტავ, რა იყო იქ გასაღიმე-ბელი?! უკეთესი მო-მავლის სურვილი თუ მავანთათვის მემორია-ლად ქვეული 9 აპრილის ის-ტორია?!

მე და ჩემი მეგობარი გამვლელებს შორის ჩვენს თანამოაზრებს ვეძებდით, შეკ-რების დათქმულ დრომდე რამდენიმე წუთი

იყო დარჩენილი, ამდენად ჩუმად ვიცდიდთ, ნაციონი არავინ ჩანდა. ვუყურებდი ჩემი მე-გობრის ზურგჩანთას, რომელშიც დაზვეულ, მართვულთა ფორმის თეთრ მუყაოს ქალალდზე „აფხაზეთი საქარ-თველოა!“ ენერა. თეთრი იმი-ტომ, რომ ჩვენი აზრით, ეს ფერი დემოკრატიასა და მშეიდობას კარგად ესა-დაგებოდა. ამასთანა-ვე ეს მუყაოს ქალალდი ამ შემთხვევაში ერთა-დერთი რამ იყო, რაც ჩვენს „პატრიოტიზმს“ გამოატავდა. მე ვერ ვძედავდი, მისთვის ჩან-თიდან ტრანსპარანტის ამოღება შემეხსენებინა, რადგანაც დათქმულ დროს გადასცდა და არავინ ჩანდა, პარლამენტთან მხოლოდ ჩვენ ვიდესთ. ვლელავდი, თუმცა არ მინ-დოდა, მეგობრისთვის ეს მეგრძნობინებინა. 10-15 წუთის შემდეგ ის თვითონვე მომბორუნ-და იმედგაცრუებული და დაიჩივლა: „ეჰ, მე



მგონი, არავინ მოვა, მოდი, ჩვენ დავინჭყოთ!“ მარტონი ვიყავით და ვერც ერთი ვსვდებო-დით, რა უნდა „დაგვეწყო“. თუმცა ამასო-ბაში ორივეშ კარგად გავაანლოზეთ, რომ უნებლიერ პატრიოტიზმის „იმ იოლ თავშესაფარში“ აღ-მოეჩნდით, სადაც უამრავი - აბსოლუტურად უმაქ-ნის ადამიანი იყრის თავს, ამასთანავე ჩვენ-მა პროფესიონალიზმის ნაკლებობამ ცხადად გამოავლინა პატრიო-ტიზმის სიმინდე, რო-მელიც მხოლოდ ჩვენს გულებში იყო და ქვეყა-ნას ვერაფრით წაადგე-ბოდა.

9 აპრილის მემორიალ-თან წუთიერად გავშალეთ ჩვენი მშეიდობისფერი ტრან-საპარანტი და იმ 13-15 წლის მოზარ-დივით რიგრიგობით ჩვენც გადავილეთ ფო-ტოები, თუმცა მისგან განსხვავებით, ჩვენს სახეებს ღიმილი არ ეკარებოდა.

Համբուլոնից „Լուսական” կապակու

მარიამ არლვლიანი

2008 წლის ომბა ყველა ქართველის გულის-ტკივილი გამოიწვია. განსაკუთრებით ძძიმე ეს პერიოდი მაინც იმათვისაა, ვისაც ყველაზე ძვირფასის - მშობლიური სახლ-კარის დათმობა მოუნია. მათ რიცხვში აღმოჩნდი მეც, დავთმე ჩემი სახლ-კარი და მთელი კოდორის ხეობა. დავთმე ჩემი ყველაზე ძვირფასი ზურმუხტისუფერი მთები, რომელთაც საათობით ჩუმად ვესაუბრებოდი, ვანდობდი ჩემს ემოციებს, ფიქრებს. მთები და ზოგადად ბუნება ადამიანის სულის ყველაზე დიდი მკურნალია და მე მას უმიზეზოდ დამაშორეს... მერე კი ყველაზე მტკიცნეული ასე ძალით წართმეულთან სტუმრის სტატუსით დაბრუნება აღმოჩნდა.

2010 წლის ზაფხულში კოდორის ხეობაში შესვლა შევძლო, მაგრამ იქ ყოფნის დროდ მაქსიმუმ ორი თვე მქონდა გამსაზღვრული, რაც მთელი ორწლიანი მონაცერბის დასაქმაყოფილებად საქმარისი სულაც არ აღმოჩნდა. ვისაც ოდესშე მსგავსი რამ გადახდენია თავს, თავადაც მიხვდება, რომ ეს ასეა.

ქუბერის უღელტეხილის გავლით და-
ტოვებულ კერას ენგურის ხიდიდან და-
ვუბრუნდი. იმ დღეების მერე ვერასძროს
წარმოვიდგენდი, რომ ენგურის ხიდზე ფეხს
დავდგამდი. მაგრამ ახლა აյ ვიყავი და ვხე-
დავდი ადამიანებს, რომლებსაც ლელვა არ
ეტყობოდათ, რადგან აյ ათასჯერ გადასუ-
ლან ან გადმოსულან, მე კი აფორიაქებული
მივდიოდი და მეგონა, რომ რაღაც არაბუნებ-
რივ საქციელს ჩავდიოდი. მიუწვეველი ვიყავი
ცნობისმოყვარე მზერას და რაც მთავარია,
რადიკალურად წარმოუდგენელი იყო ის, რომ
მათ თვალში სტუმარი და უცხო ქვეყნის მო-
ქალაქი ვიყავო.

13 საათიანი მგზავრობის შემდეგ დალ-ლილ-დაქანცულმა შევდგი ფეხი საკუთარ ეზოში და პირველი, რაც ვიგრძენი, ეს იყო მშობლიური კერის სითბო. ერთდროულად მიხაროდა და მტკიოდა, თითოეული ოთა-ხი დეტალურად დავათვალიერე, სახლს ეტ-ყობოდა, რომ ქალის ხელი აკლდა და ამის გამო გული ძალიან ამიჩუყდა. ჩემს მაგივ-რად ობობები ესაუბრებოდნენ მშობლიური სახლის კედლებს, აյ ისინი იშენებდნენ მო-მავალს, ამიტომაც მეორე დღესვე დავიწყე მათი ცხოვრების ნგრევა და ჩემი სიცოც-ხლის განახლება. იმაზე ტკბილი ჯერ არა-ფერი განმიცდა, როგორც ეს იყო ჭუჭყის, მტვრის, ტკივილის და მწარე მოგონებების ჩამონებნდა სახლის თითოეული წერტილი-დან. განახლებული და კვლავაც სიცოცხლით ავსებული კარ-შიდამოს დანახვამ სიხარუ-ლით ამავსო. მაშინ ოდნავ მომილბა გული, ბრაზი ოდნავ დამიცხრა. ამასთანავე მივ-ხვდი, რომ დრო ცოტა მქონდა, ამიტომ უნდა მომესწრო ყველაფერი, ვცდილობდი მაქსი-მალურად დეტალურად აღმედგინა ჩემი ბავ-შვობის საუკეთესო დღეები. ვაკეთებდი იმას, რასაც ვაკეთებდი ომამდე: საათობით ვიჯე-ქი ეზოში, ვუყურებდი თითოეულ ხეს, ბა-ლახს, ყვავლს, ფრინველს, განუწყვეტლივ ვუსმენდი მდინარე კოდორის ხმაურს, მსი-ამოგნებდა მისი ჩეარი თუ წყნარი დინების ყურება და მოსმენა. საათობით ვუყურებდი



ოთხივე მხრიდან აღმართულ მწვანე მთებს
და ცესაუბრებოდი ჩუმად და მასესნდებოდა
ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „არის ადამიანის
ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა,
როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ
და იგი თავისას შენ გაგდინებს“.

იცით, ამ სიტყვებში სრული ჭეშმარიტებაა, რადგან კოდორის მთებს უსიტყვოდ ეს-მონდათ ჩემი და იცოდნენ, რომ უსაზღვრო სიყვარულს განვიცილეთ მათ მიმართ.

ადგინის ჩამოყალიბებაში ყველაზე დი-
დი როლი, სახლის გარდა, სკოლას აქვს. პირ-
ველი ნაბიჯები ამ გზაზე კოდორის ხეობის
სოფელ აურის საჯარო სკოლაში გადავდგი.
აქ ყოველთვის უდიდესი სიხარულით ვხვდე-
ბოდით ახალ წელს. დამრიგებული მუდამ
საინტერესო სპექტაკლებს გვადგმევინებდა,
გვასწავლიდა ლექსებს, სიმღერებს და ცდი-
ლობდა, მასიმალურად კარგად წარმოვერჩი-
ნეთ. ბავშვებიც ჩვენი მხრივ ყველანაირად
ვცდილობდით, დამრიგებლის შრომა დაგ-
ვეფასებინა და ყველაფერი მაღალ დონეზე
შეგვესრულებინა.

გარდა ამისა, მთელი ოთხი წლის განმავლობაში ჩემს სკოლაში მომზღდარი ყველა ამბავი მახსოვეს. ჰოდა, ახლა იქ ყოფნის დროს მე და ჩემმა ერთ-ერთმა კლასელმა გადავწყვიტეთ, ფანჯრებჩამსხვრეული ჩვენი სკოლა და დაგვეთვალიერებინა. პირველი, რაც ძალიან გვაინტერესებდა, იყო ჩვენი საკლასო ოთახი, რომელიც როცა დატოვეთ, ჩვენი ნახატებით გვქონდა გაფორმებული. ოთახში შესვლისთანავე თვალში მოგხვდა დახეული და ორგვლივ მიმოფანტული სწორედ ის ნახატები, ჩამსხვრეული ფანჯრის მინის ნატეხები... არასდროს დამავიწყდება, ოთახები ექოდ როგორ გვიძრუნებდნენ ნანაბისა და ანასოისა დამ ამონას მომ ჩაინის ჩემის.

ყოველივე ამან ცრემლი მომგვარა და
თვალწინ გადამიშალა აქ გავლილი, მასწავ-
ლებლებთან და ბავშვებთან გატარებულ
უძღვნიერესი დღეები. გულდანყუვეტილებმა
გავაგრძელეთ სხვა კლასების დათვალიერება.

ძათგანა ავკრიფეთ და თაბ ხაძოვილეთ.
შენობიდან გამოსვლის წინ კიდევ ერთხელ გადავხედეთ დერეფანს, სასკოლო ოთახებს, დარბაზს. ბეჭდინირები ვიყავით რომ აქ ვსწავლობდით. ამ სკოლამ საუკეთესო ნლები გვაჩუქა, მაგრამ ახლა უბედურად ვგრძნობდით თავს, რომ აქაურობა ცარიელი იყო და შეგნით მხოლოდ ორპირ ძარა ჰქონდა.

სკოლის ნახვამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდი-
ლება მოახდინა, ამიტომ მას შემდეგ იქ ფეხი
არ შემიღვამს, მიუხედავად იმისა, რომ 2010
წლიდან მოყოლებული 2014 წლამდე ყოველ
ზაფხულს ჩატარდი კოდორში.

ყოველი ჩასვლისას გზედავდი ერთსა და
იგივე კადრებს ენგურის ხიდიდან კოდორამ-
დე: ოჩამჩირის გაპარტახებულ გზებს, მაჭა-
რის მიდამოებს, საგუშაგოებს. ვმგზავრობდი
მაქსიმუმ 13 საათი. ყოველი ჩასვლა იწყებო-
და მონაცემების დაცხრომით და მთავრდებო-
და სინანულით, რომ ბოლომდე ვერ ვასწრებ-
დი ხეობის მთლიანად შემოვლის.

დედაქალაქში წამოსვლის დღე რომ თენ-დებოდა, თითქოს ბოლოჯერ ხარბად შევი-სუნთქავდი იქაურ ცივ ჰპარს და ცრემლებს გადმოვყრიდი. ხეობიდან ენგურის ხიდამდე ვეალერსებოდი, ვესიყვარულებოდი, ვეჩურ-ჩულებოდი ბურებას და ვპირდებოდი, რომ მომავალ წელს ისევ დაბრუნდებოდი, თუნ-დაც მცირე ხნით. ყოველ წელს უფრო მეტად მემატებოდა ნოსტალგია წარსული გამო, გო-ნებაში მის გაცოცხლებას ვცდილობდი და იქ ყოფილისას თითქოს მხოლოდ წარსულით ვცხოვრობდი, რომლის დაბრუნებაზე დღემ-დე კონტაქტობოდ.

ეს არის ოცნება, რომელიც ვიცი, რომ
ასრულდება და ვიცი უბედინიერესი ვიქენ-
ბი ერთ დღეს, როდესაც ხეობაში შესულს
„სტუმრის“ სტატუსი აღარ მექნება.



ახლონილი „ამაღლიბული იურისტები“

ესის მონი

თორნიკე შეტითიძე 1994 წელს თბილისში, დევნილობაში, დაიბადა. ოთხი წლის იყო მშობლები სამუშაოდ უცხოეთში რომ გაეგდგზავრნენ. ის იმ თაობას განეკუთვნება, აფხაზეთი რომ არასოდეს უნახავთ და მხოლოდ გადმოცემებით, ფოტოებითა თუ საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ვიდეოკადრებით ექმნებათ მასზე შთაბეჭდილება. ეს კუთხე ამ თაობისთვის მშობლებისა და ნინა-პერების წარმოშობის ადგილია, სადაც უკვე 25 წლითა ქართველს ცხოვრება ეკრანიალება.

თორნიკე ახლა 24 წლისაა. ამერიკელი მშობლებთან და და-ძმასთან ერთად ცხოვრობს და ერთ ერთ წამყვან უნივერსიტეტში წარმატებით ეფულება საინჟინრო განათლებას. მას უკვე ჰქონდა მოხსენებები სხვადასხვა კონფერენციებზე (მათ შორის მასაზეცხების ტექნოლოგიების უნივერსიტეტში -MIT) მაღალი ტექნოლოგიების მიმართულებით. ასევე არის სხვადასხვა გრანტის თანამონაბილე. ჭადრაკსა და ჩოგბურთს თამაშობს და ძალიან აინტერესებს მედიკინეობის ქართული ტრადიციები. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის, აფხაზეთში ვერ ჩავა, საქართველოში ჩამოსკლასა და საკუთარი საქმის ნამოწყებაზე მაინც ფიქრობს.

რომდენიმე წლის წინათ შშობლებმა კახეთში, სოფელ მანავში, მიწა იყიდეს, სადაც ვენახი იყო გაშენებული, მარანიც გააკეთეს დიდი ქვევრებით, რქანითელი და მანავის მწვანეც მოაშენეს და ტრადიციული მეთოდით ორგანულად სუფთა ღინიოც დააყენეს. მინის ნაკვეთზე სამსართულიანი სახლიც ააშენეს, რომელსაც ამჟამად ოჯახის ახლობელი ცოლა-უმარი უვლის. ოორნიკი როველზე იყო ჩამოსული. სამი თვე დარჩა ამერიკულ მეგობართან ერთად საქართველოში და ამ საქმემ ისე დააინტერესა, რომ შესაძლებელია, სამომავლო, პოპი-ბიზნესი სწორედ ამ სფეროში ნამოინყოს მეგონეობის ბიზნესის სიღრმის შესასწავლად შესასწავლად ოორნიკუ, მისი გადატვირთული გრაფიკი მიუხდავად, კვირაში ორი დღე მუშაობს ამერიკულ ექიმ-მელვინესთან, რომლის ბიზნესის ნოიუ რი ბრუნვა 300 000 ბოთლს შეადგენს.

აფხაზეთის შესახებ მოგონებებსა და გამოლიანებული საქართველოს მომავალს კი ოორნიკული შეცდითი ასე აღნერს:



— აფხაზეთის შესახებ მშობლებისა და
მათი მეგობრების მონათხორბიდან მსმენია.
როგორც ვიცი, ის საბჭოთა კავშირის პერი-
ოდში კარგი დასასვენებელი ადგილი იყო,
ისე, როგორც ამერიკაშია ფლორიდა. ჩემი
მშობლების ფოტოების მიხედვით შემიძლია
ვთქვა, რომ ეს იყო სამოთხე არაწვეულებ-
რივი ბუნებით და პალმებით. აფხაზეთის-
თვის, ისევე როგორც ზოგადად საქართვე-
ლოსტყვის, დამახასიათებელი იყო შეკრული
საზოგადოება. მახსოვს, ჩემი მშობლების
ბავშვობის მეგობრების შეკრება თბილისის
ერთ-ერთ რესტორანში, სადაც მთელ კე-
დელზე რინის ტბის სურათი იყო განთავსე-
ბული და მესმოდა, როგორ საუბრობდნენ უფროსები იმაზე, თუ როგორ ენატრებო-
დათ თავიანთი მხარე და როგორ უნდოდათ
ეხილათ ის კვლავ. მაშინ პატარა ვიყავი, მაგ-
რამ ვაცნობიერებდი, თუ რა ტკივილთან იყო
ის მოაწეობიტო თა აუშეირიბულო.



ვიზუტაო, — ამბობს ირმა. ფრიდონმა და
ირმამ სწავლა უნივერსიტეტში გააგრძელეს
უკვე დიპლომებზე მუშაობდნენ და თან ლა-
ბორანტებადაც გააფორმეს, რომ საქმილი
ფული ჰქონდათ. მმობლები კი ისევ აფხა-
ზეთში რჩებოდნენ. იქ ომი გრძელდებოდა
ფრიდონმა ისევ ომში წასკლა გადაწყვიტა
მაგრამ ირმასგან ულტიმატუმი მიიღო — ის
თუ ომში წავიდოდა, შეყვარებული სამუდა-
მოდ უნდა დაევინებებინა. ასე სპონტანურად
გადაწყდა მათი დაქორწინება და წყვილი
„ელექტრორიკით“ სამტრედიაში ფრიდონი
მამიდასთან გაემგზავრა. სოხუმიდან სენა-
კისკენ მიმავალ ირმასა და ფრიდონს მატა-
რებელში შშობლები გადაეყარნენ, რომელ
თაც იქვე შეიტყვეს მათი ქორწინების ამბავი
დაქორწინების შემდეგ აფხაზეთში მხარეების
შორის ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმები
შედგა და წყვილმა აფხაზეთში დაბრუნები
გადაწყვიტა. შემდეგ მოვლენები ისე განვი
თარდა, რომ მთელ ოჯახს აფხაზეთის ჭუ-
ბერის გზით დატოვება მოუხდა. „უბრალი
ადამიანების სიკეთე გვახსოვს, ხელისუფ-
ლებისგან კი არაფერი გვახსენდება აქა-ი
ტალაბში ჩამოყრილი პურების გარდა“, —
ამბობს ირმა შამათავა. ფაქტობრივად, ამ
ორი ადამიანის პირად ცხოვრებაზეც აისახა-
აფხაზეთის ომის მთელი ისტორია.

თბილისში ხუთი წელიწადი იცხოვრეს. ამ პერიოდში ფრიდონ შეტანილებმ დისერტაცია დაიცვა. 1994-1998 წლებში თსუ-ს სოცეუმის ფილიალში კითხულობდა ლექციებს და ას პირანტურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1998 წლიდან კი ათენის ტექნიკურ უნივერსიტეტში გააგრძელა საქმიანობა პროფესორმა უზუნოლეუმ, რომელთანაც ფრიდონ შეტანიდე საპერძეზში მუშაობდა მოგვიანებით ოჯახის ათენში ჩაყვანაც უზრუნველყო. ფრიდონსა და ირმას უკვე ჰყავდათ პირველი შვილი თორნიკო.

„ვერ ვიტყვყო, რომ ჩემს პროფესიულ განვითარებას რამე სირთულეები ახლდა. ეს ორი ფაქტორით აისხება: პირველი ეს იყო ჩემი შეულლის, ირმა შამათავს უდიდეს მხარდაჭერა და თანადგომა. მას სჯეროდ ჩვენი მომავლის იმ დროსაც კი, როდესაც გარშემო სრული განუკითხობა და პროფესიონალიზმის მიმართ უწდობლობა სუფერ ვად. წარმატების მეორე ფაქტორი კი იყო დარის ის, რომ ვაკეთებდი და ვაკეთებ იმას რაც მიყვარს“- ამბობს თავად.

2000 წელს ოჯახი ამერიკის ჩრდილოეთ მთავარი ნიუ-ჰეიმბრიუნის შტატის, ჰაუს

თთ ძღვიანე ზუუ-ჟენფინის ძალაში ვარა
რა, ლამაზ ქალაქ პანოვერში გადავიდა საც
ხოვრებლად. ამერიკაში ეძებდნენ მეცნიერ
თანამშრომელს გამოყენებითი ელექტრო
დინამიკის მიმართულებით. განცხადება
გამოეხმაურა ფრიდონ შუბითიქ, რომელიც
Dartmouth-ს კოლეჯში სამუშაოდ მიიჩვენეს
უკვე 19 წელია ის ამ კოლეჯის პროფესიონ
მასწავლებელია და არანაკლებ წარმატებულ
ოჯახთან ერთად ცხოვრის.

„ვიდრე ამერიკის მოქალაქეობას მივიღებდით, ყოველი მორიგი სამწლიანო კონტრაქტის მინურულს საქართველოში

ନାମିଲେଖାଳା ପାଇଁର୍ବେଦିତ, ମାଗରାମ ଏହି କାହିଁରେ
ବେଦନ୍ତିରେ ଉନିଜ୍ଞରିତୀର୍ଥମା ଧାରାଶାବ୍ଦୀତା, ରନ୍ଧା
ହିଙ୍ଗନୀ ଅଧିରୂପିକାଣୀ କ୍ଷେତ୍ରରେବା ଏହି କ୍ଷେତ୍ରନିଃ
ନ୍ଯାୟ ନିର୍ଭେଦେଶେବୁ ଶୈଖିଲାମାର୍ଗେବା ଏବଂ 2009 ମେଲୁ
ଅଧିରୂପିକା ମନ୍ଦିରାଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ର ଗାବ୍ଦିତାରେ
ଏହି ନାମିଲେଖାଳା ପାଇଁର୍ବେଦିତ, ମାଗରାମ ଏହି କାହିଁରେ
ବେଦନ୍ତିରେ ଉନିଜ୍ଞରିତୀର୍ଥମା ଧାରାଶାବ୍ଦୀତା, ରନ୍ଧା
ହିଙ୍ଗନୀ ଅଧିରୂପିକାଣୀ କ୍ଷେତ୍ରରେବା ଏହି କ୍ଷେତ୍ରନିଃ
ନ୍ଯାୟ ନିର୍ଭେଦେଶେବୁ ଶୈଖିଲାମାର୍ଗେବା ଏବଂ 2009 ମେଲୁ
ଅଧିରୂପିକା ମନ୍ଦିରାଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ର ଗାବ୍ଦିତାରେ

ამჟამად ფრიდონ და ირმა შეტითიძეები პირი ამერიკაში ტექნილოგიური კომპანიის 25-პროცენტუანი წილის მფლობელები არიან. მათი ერთ-ერთი პროექტია მიწისქვეშა აუგეთქმბელი ჭურვების აღმოჩენა და გაუნებელყოფა, რომელსაც ამერიკის სამხედრო სამსახური აფინანსებს. ასევე მუშაობენ ელექტრომაგნიტური ველების დასხივებით სიმსივნეური კერების აღმოჩენასა და მკურნალობაზე.

ფრიდონ და ირმა შუბითიძებს ქართველ კოლეგებთან ერთადაც აქვთ განხორციელებული არაერთი პროექტი რესტავრაციის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. დაფინანსდა ქართული სამეცნიერო საგრანტო პროექტი აუფათქებელი ჭურვების აღმოჩენის ტექნოლოგიებზე. ახლახან ქართულმა მხარემ დააფინანსა ახალი გრანტი ჰიპერტერმიაზე. წარმატებული ცოლ-ქმარი საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნაზეც ფაქტორს. ირმა შამათავა-შუბითიძე ახლახან ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნევრიც გახდა და შეიძლება ითქვას, რომ ამით მისი „ამერიკული ოცნებაც“ აქვა.

ఎందుకి ప్రాణికాలాలు శ్రీమతి లభయదేవీ నుండి అన్నారు:

ირდა ძაბათავა-ძუბითიძე: „ნიუ იორკის
მეცნიერებათა აკადემიის წევრობა ჩემი და-
ულალავი შრომის, დროისა და დახარჯული
ენერგიის ერთგვარი დაფასებაა. ამ საფე-
ხურამდე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება
ვიარე. ეს წარმატება წლების განმავლობაში
ყოველდღიური რვასასათიანი მუშაობის შე-
დეგია. ამერიკაში ყველაფერი შესაძლებე-
ლია, აქ არ არსებობს არაფრის ზღვარი. ამე-
რიკა მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სა-
დაც ნებისმიერი იდეის, ამბიციის, ცოდნის
რეალზაცია შესაძლებელია, აქ ყველაზე
ძვირფასი ადამიანია. ეს კი ჩემ მიერ გავლი-
ლი გზაა აფხაზეთიდან ამერიკამდე! სწორედ
ამერიკამ მომცა თვითონეალიზაციის შანსი,
რომელიც, დარწმუნებული ვარ, არ მექნე-
ბოდა, რომ არა ეს დადგებული, ყოვლისშემ-
ძლე ქვეყანა! დიახ, ეს ჩემი „ამერიკული ოც-
ნიბაა!“

ამერიკაში გაჩნდნენ სალომე და გიორგი.
სალომე 18 წლისაა და კენიონ კოლეჯში ნეი-
რომეცნიერებას სწავლობს. ასევე ბალეტი-
თაა გატაცებული. უნივერსიტეტმა სალომე
სოლიდური გრანტით დააჯილდოვა. გიორ-
გის თანამედროვე ტექნოლოგიები იტაცებს,
რობოტებითა და კობიუტერების ანყობით
ინტერესდება. მათაც, მშობლების მსგავ-
სად, იციან, რომ განათლება ცველაზე დიდი
ძალაა. ამერიკა კი – ხარისხიანი განათლე-
ბის მიღებისა და მათი „ამერიკული ოცნების“
ახდენის საუკეთესო საშუალება.

საკუთარი პერსონაჟის პოვნაში გალეული წლები
სოხუმის თეატრის მსახიობი კახაბერ შარაბიძე იუბილარია

შალვა ბერიძენიძე, გვარეა გამუჩიშვილი

თეატრი არის ადგილი, სადაც მსახიობები
მრავალფეროვანი რეპერტუარით საოცაარ სა-
ხეებს ქმნიან, მერე დროდადრო იხსენებენ თე-
ატრში განვლილ ცხოვრებას და შესაძლებად
ხუმრობები, ისინი გამზღვდებით ცდილობენ, რომ
ფეხი აუწყონ რუტინული ცხოვრების ტემპს და
ერთფეროვან დღეებში საკუთარი პერსონაჟი
იძოვონ. მათი მცდელობა, რომ ყოველდღიუ-
რობის დადგებითი მხარე დაინახონ, სხვებისთვის
შესაბამისი განწყობის გაზიარებით სრულდება.
ისინი იცინიან და სხვებსაც ამხარულებენ, ტი-
რიან და მათ გარშემოც ყველა სევდიანია.

იუბილის აღსანიშნავად სოხუმის თეატრის
დღიდა ოჯახი შეიკრიბა. მათ გაისხენეს არაერ-
თი ამბავი მრავალწლილანი თანაცხოვრებიდან,
ერთად განვლილი შემოქმედებითი გზა, სცენა-
ზე გაცოცხლებული პერსონაჟები, საოცნებო
როლები, ქალაქები, საძაც მათ უცხოვრიათ,
უმუშავიათ, საიდანაც იძულებით თუ საკუთა-
რი ნებით ნამოსულან, საძაც არაერთი მეგო-
ბარი თუ კოლეგა შეუძენიათ და დაუკარგავთ
კიდეც.

საიუბილეო საღამოს სოხუმის კონსაკანტინგენი გამასახურდისას სახელმძიმელი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყავარელიძე უძღვებოდა. კახაბერ შარაბიძის 35 წლიანი შემოქმედებითი ცხოვრება გაიხსენება და წარმოაჩინება: აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვეჩახიაშ და მინისტრის მოადგილემ ჯაბა ჯაიანმა, კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი სიხარულიძემ, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან ლვინჯვილიამ, სოხუმის თეატრის მსახიობებმა – მერაბ ყოლბაიამ, ნურგზარ წერედიანმა, ჯულიეტა პაკელიანმა და სხვ.

კახაბერ შარაბიძის მეგობარმა, სოხუმის თეატრის მსახიობმა მერაბ ყოლბაიამ აღნიშნა რომ, კახაბერ შარაბიძე თეატრში მუშაობის პერიოდში, არ ჰქონდა მნიშვნელობა სოხუმში იყო, ქუთასსა თუ თბილისში, მუშდმივად დადგინთი ენერგიით მუხტავდა გარშემოქმედი და დღესაც იუმორით აღსავს გუნდა-განწყობილებით ურთიერთობს მსახიობებთან და თეატრის თანამშრომლებთან. მერაბ ყოლბაიამ იუბილარ მეგობარს საზემო ვითარებაში მიუძღვნა ლექსი სპექტაკლიდან „სხვა საქართველო სად არის“, რომელში გადმოცემული სამშობლოს სიყვარული მან აფხაზეთისადმი სიყვარულთან და ოქ დაბრუნების მარადიულ სურვილთან გააიგივა.

კახაბერ შარაბიძე დაიბადა 1963 წლის 10 ივნისს, ქუთაისში. მისი საყვარელი ქალაქიც ისაა, მაგრამ არასდროს ავინწყდება აფხაზეთი და აფხაზი ხალხი, რომელიც ძალიან უყვარს.

ის 1983 წლიდან დღემდე ერთგულად ემსახურება სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, რომლის სცენაზეც არაერთი საინტერესო როლი და დასამახსოვრებელი სახე შექმნა სპექტაკულებში: „ერთი ცის ქეყერ“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მუნჯის ენა“. „ამჟამად კი იგი სპექტაკულში „იესოს საქმე“ მთაცნო როლს ასრულებს. იმერლებისთვის დამახასიათებელი ენერგიულობითა და იუმორით გამოიჩინევა. ყველაფერზე სხარტი პასუხი აქვს და თუ ოჯახურ მდგომარეობაზე ჰყითხავთ, ასეთ რამეს გიასუხებთ: „მყავს ერთი მეუღლე, ერთი შვილი, ერთი შვილიშვილი და ერთოთახინ ბინში ცცხოვრობ. იმედია, გავფართოვდებით...“ თან დააყოლებს, სულ ასე ვამბობო.

საიუბილოებ საღამოს განმავლობაში ხელო-
ვანის უფროოსმა მეგობარმა, მსახიობმა ნუგ-
ზარ წერედიანმა თქვა, რომ კასა შარაბიძეს
არასადროოს უთამშია ოდიპოსის, ჰამლეტისა
და ოტელოს როლი. ეს ნინადადება ჯერაც არ
ჰქონდა მას დასრულებული, კასა შარაბიძემ
სხარტად უპასუხა: „არც მინდა!“ რასაც დარ-
ბაზში სიცილი მოჰყავა.

შეცვედრის დასასრულს რეჟისორმა დაკით
საყვარელიძემ იუბილარ მსახიობთან ბლიც-
ინტერვიუ გამართა, რამაც მეტი სიხალისე
და მრავალფეროვნება შემატა საღამოს. კახა
შრაპიძე სწავად პასუხიობდა კითხვებს, თუმ-
ცა უპასუხოდ დატოვებულ შეკითხვათა შო-
რის იყო ერთიც: თუ რომელია მისი საყვარელი
ფილმი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემ-
სრულებელმა ვახტანგ ყოლბაიძე საიუსტლეო
თარიღთან დაკავშირებით კახეთერ შარაბიძეს
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მად-
ლობის სიგელი გადასცა, აფხაზეთის ავტონო-
მიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავ-
მჯდომარე ელგუჯა გვაზავდ კი კულტურის
სფეროში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეო-
ბის, თეატრალური ხელოვნების განვითარება-
ში შეტანილი პირადი წელილის, მაღალი მოქა-
ლაქეობრივი პოზიციისა და საზოგადოებრივი
აქტიურობისათვის მსახიობი აფხაზეთის ა/რ
უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილ-
დოვა.

კახაბერ შარაპიძის შემოქმედებითი სალამონ ეიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადეს აფხაზეთის საგუნდო კაცელის დუეტში, მუსიკოსებ-მა ვაჟა ჩუბინიძემ და ანრი მერაბოვმა.

ამ რამდენიმე საათიან შეხვედრაზე სოხუ-
მის თეატრის მსახიობებმა გაისცენეს კახაბერ
შარაბაძის თეატრში განვლილი ცხოვრების
მრავალფეროვანი მსარე და ერთად გატარებუ-
ლი დრო, რითაც ისინი კიდევ ერთხელ შეცცად-
ნენ, რომ თეატრის ზღურბლს აქტ დარჩენილი
საზოგადოებისთვის თავიანთი შემოქმედებითი
განწყობა შთამბეჭდავად მიეტანათ.



ფოტოები ავტორებისა

ცვლილებები საკუთარი თავიდან იწყება...

დასაწყისი მე-10 გვ.

დევნილ ბავშვებს, ახალგაზრდებს, პედაგოგებს შევხვდი და ყველას ამ კითხვას ვუსვამდი, როგორ წარმოგიდგინათ, რა არის თქვენთვის დაბრუნება?

ყველას განსხვავებულად ესმოდა სიტყვა „დაბრუნება“: ზოგს დაბრუნება ესმოდა როგორც ჩვენი ფიზიკურად დაბრუნება აფხაზეთში; ზოგისთვის დაბრუნება იყო წარსულის აღდგენა ზუსტად ისე, როგორც დავტოვეთ; ზოგისთვის დაბრუნება იყო, უბრალოდ, ფაქტობრივი იურიდიული კონტროლის აღდგენა აფხაზეთში. ჩემთვის დაბრუნება არის, რა თქმა უნდა, უპირველესად დე-აზატო კონტროლის

— რა თქმა უნდა, და ამიტომაც ჩემთვის აფ-
ხაზეთში დაბრუნება არ მოიაზრებს იქ მხოლოდ
ფიზიკურად დაბრუნებას. ქართველს ახლაც
შეუძლია დაბრუნებას სხვა ქეყნის მოქალაქეს
პასპორტით, მაგრამ მისა ცხოვრება, იქ არ იქ-
ნება ისეთი, როგორადაც მას წარმოუდგენია.
თუ აფხაზეთი ისევ შეუერთდება საქართველოს,
ალდება მისი კონტროლი, შეიქმნება ისეთი პა-
რობები, რომ ნებისმიერი ახალგაზრდა შეძლებს
საკუთარი თავის რეალიზებას, პოტენციალის
წარმოჩენას, რაღაც დოკუმენტის შექმნას, რომ
თავი ირჩინოს, მაშინ იქ წავლენ როგორც აფხა-
ზეთის მკაფიოდრნი ისე არამკადრნი. ბუნებრივია,
იქ შეიქმნება ახალი საზოგადოება.

— ისე შევიტქრით როლებში, რომ მიუხედავად
25 წლიანი ჩიხისა, ისე სერიოზულად ვიხილავთ
დაბრუნების შესაძლო ვარიანტებს, თითქოს ეს
დღე კარს მოგვიდგომოდეს... თქვენი აზრით, რა
შემთხვევაში შეიძლება ეს მოხდეს?

— რნებენა უნდა გვერნდეს, რომ ეს შესაძლებელია. როგორც კი რნებენა გაქრება, არც ძალისხმევა იქნება და არც მცდელობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ხიდის გადების, რნებენას მოაქვს კონკრეტული ნაბიჯები და ქმედება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თუნდაც თეორიული წარმოდგენის შექმნის შემდეგ იწყებს ადამიანი თუ სახელმწიფო

შესაძლებლობების ძიებას.

აფხაზეთი რომ ჩვენი იდენტობის ნაწილია, ამაზე ირო აზრი არ არსებობს. ბავშვობაში ვფიქრობდი ხოლმე, რატომ მანცდამანიც მე და ჩემს იჯაას დაგვატყდა თავს ასეთი ტკივილი,

ვად დიდი ტრაგემისა, რამდენმა აფხაზეთიდან დეწინობა შეძლო საკუთარი თავის რეალიზება, ნარმატების მიღწევა, დოვლათის შექმნა და გაუჩნდა სტიმული, კიდევ უფრო შეტისოვის მიეღწია.

კიდევ ერთს დავტენ, ჩემი აზრით, ამ საბ-
ყაროში პრობლემების თავი და თავი ისაა, რომ
ადამიანებს არა აქვთ გაცნობიერებული პასუ-
ხისმგებლობა. სხვა ადამიანების მიმართ, სამყა-
როს მიმართ, გარემოს მიმართ და ეს უკანას-
ენელი – გარემოს მიმართ უპასუხისმგებლო-
ბას დღეს კაცობრიობა, კლიმატის ცვლილების
სახით, კონფლიქტებზე ნაკლებ ბოროტებამდე,
ტრაგედიამდე როდი მიჰყავს.

အမာစတာနာဂျာ အရာ အဲဒ္ဓ၏ အပေါ်သိပ်ဆွေ့ပုံလုပ်ပုံ၊ အာ-
ကျုံတာရီ တာဂျိုး မိမာရီတဲ့၊ ရှာဖွားချင် အမိ ဖွံ့ဖြိုးလာဖွူးရှိပါ။



აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები – ფოტონობიერივზე

ჩათევან დავითაია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ქვეპროგრამის – ფოტოკონკურსის: „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“ შედეგები შეჯამდა და გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ქვეპროგრამა განახორციელა სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურმა და გულისხმობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალის მოპოვებას და მათი ამჟამინდელი მდგომარეობის ფირზე აღმარტვას.

კონკურსში მონაწილეობდნენ ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე მცხოვრები და ამ საკითხით დაინტერესებული პირები. მათ თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ფოტოებზე აღმარტვდნენ. ფოტოკონკურსის ფარგლებში შემოვიდა: ანაკოფის ციხის, ახალი ათონის, ჭუბურხინჯის წმინდა გიორგის, ფიჩორის, სოფელ წარჩეს ეკლესიების, სათანჯოს ჯიხას, ალოზის სასახლის და სხვა არქიტექტურული ნაგებობების ამსახველი ფოტო-მასალა.

ფოტოკონკურსში გამარჯვებული პირების მიერ გამოგზავნილი ფოტოები მათ ამჟამინდელ მდგომარეობას ზუსტად ასახავს. საგულისხმოა, რომ ანალოგიური ფოტომასალა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს არქივში არ მოიპოვებოდა. ფოტოკონკურსის ფარგლებში, სამინისტროში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ გამოავლინა 3 გამარჯვებული და ისინი მობილური ტელეფონებით დააჯილდოვა.


ამავე პროექტის შედეგად განახლდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებისათვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესი.



სოფ. ჭუბურხინჯის ჩე ოხვამეს ეკლესია, XVIII-XIX სს.




სოფ. წარჩეს ციხის ეკლესია, ადრეული შუა საუკუნეები



ქ. სოხუმი, ჯანაშიას ქ. 23,
არქიტექტურული ნაგებობა, XIX-XX სს.



სოფ. წარჩეს ეკელესია, XIX ს.



ქ. სოხუმი, ალოზის სასახლე, XIX-XX სს.

რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეპატერინე გალილია, სალომე თორია, რუსულან ემუსვარი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის 68. ტ. 577 09 22 42